სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლა

პრაქტიკული კვლევა

წაკითხულის გააზრების პრობლემატიკა მოსწავლეებში

პედაგოგი : ლელა მამულაშვილი

2019წ.

განაცხადი:

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევას , რომელიც დამყარებულია ჩემსავე პედაგოგიურ გამოცდილებაზე. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ინტელექტუალურ საკუთრებას. ნაშრომში გამოყენებული სხვა ავტორთა მასალები თანდართულია სათანადო წესის დაცვით, მითითებითა და ანალიზით. . ამ მასალიდან მოხდა ინფორმაციის ამოღება ციტირებით, რომლის ბოლოშიც მითითებულია ავტორის ვინაობა და გამოქვეყნების დრო.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა_____გვ. 5

1.1 პრობლემა და საკვლევი საკითხი_____გვ. 5

1.2 კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები:_____გვ. 6

1.3 კვლევის მიზანი_____გვ. 5

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი_____გვ. 6

თავიIII

ლიტერატურის მიმოხილვა_____გვ. 7

3.1 ,, კითხვის ეფექტური მეთოდები _____გვ.8

3.2.(G-PriEd)_____გვ. 8

3.3 ,PIRLS -ის კვლევა" _____გვ.9

თავი IV

მეთოდოლოგია_____გვ. 10

4.1 კვლევის გეგმა----------11

თავი V

კვლევის შედეგები_____გვ. 11

5.1 გამოკითხვის შედეგების ანალიზი (მასწავლებლები)_____გვ. 12

5.2 გამოკითხვის შედეგების ანალიზი(მშობელები)_____გვ.16

5.3. კითხვის შედეგების ანალიზი (მოსწავლეები)_____გვ.20

5.4 ფოკუს ჯგუფი ----------20

თავი VI

ინტერვენციის შეფასება_____გვ. 21

6.1.დაგეგმილი ინტერვენციები_____გვ. 20

6.2. ინტერვეციების ანალიზი_____გვ. 24

თავი VII

მიგნებები, , განხორციელებული ცვლილებები, რეკომენდაციები, თვითკრიტიკა და რისკფაქტორები_____გვ. 25

ნაკლოვანებები _____გვ. 25

ბიბლიოგრაფია_____ გვ26

დანართი_____ 27

რეფლექსია----------29

შესავალი :

პედაგოგიური საქმიანობს კვლევა მნიშვნელოვანი ეტაპია ჩემს კარიერულ ცხოვრებაში. ეს მაძლევს საშუალებას დავინახო ჩემი შესაძლებლობები და დავგეგმო ახალი ეტაპები. ვფიქრობ , სწავლის პროცესში ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტია, რომელთა ჯასაღი განვითარება საწყის ეტაპზე აუცილებელია შემდგომი წინსვლისთვის. წაკითხულის გააზრება ერთ-ერთი ყველაზე მნიშნველოვანი საკითხია მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის. ამ პროცესის სწორი მიმდინარეობა და განვითრება , მნიშნველოვანია როგორც მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში, ასევე მისი საზოგადოებირივი , პროფესიული თუ პირადი წინსვლისთვის. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება,რომ ადამიანმა სკოლის ასაკიდანვე ისწავლოს გააზრებული კითხვა. საერთაშორისო თუ ქართულმა კვლევებმა ცხადყო რომ ქართველ მოოსწავლებს განსაკუთრებით უჭირთ და ურთულდებათ ეს საკითხი . ჩემს მოსწავლებშიც ასე აღმოჩნდა . სწორედ ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნულზე ყურადღების გამახვილება. ასევე სხავდასხვა კვლევებმა აჩვენა,რომ საუკეთესო მიღწევებით გამოირჩევიან ის მოსწავლეები ,რომელთაც სკოლის დაწყებით საფეხურზე კარგად ისწავლეს გააზრებული კითხვა.წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში.ნაშრომში განხილულია წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებული პრობლემები და ამ პროცესის გაუმჯობესების გზები.

 კვლევა წარმოადგენს სსიპ ქ. თბილისის N172 საჯარო სკოლაში განხორციელებულ კვლევის ანგარიშს. კვლევა განახორციელა ამავე სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგმა ლელა მამულაშვილმა -- სამიზნე ჯგუფს კი წარმოადგენს IIIგ კლასი,განხორციელდა -2019 სასწავლო წელს.

თავი I

პრობლემა და საკვლევი საკითხი

  წაკითხულის გააზრებისა და აღქმის პრობლემატიკა , ზოგადად ბევრი სკოლის მოსწავლის პრობლემაა. ჩემს ყოველდღიურ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას შევამჩნიე,რომ მოსწავლეებს უჭირთ წაკითხული ტექსტის გააზრება არა მარტო ქართულში,არამედ,მათემატიკასა და ბუნებაშიც,რაც პრობლემას უქმნით დავალებების წარმატებით გადაწყვეტაში.თემის აქტუალურობიდან გამომდინარე გადავწყვიტე ამ თემაზე გამემახვილებინა ყურადღება . ჩემი მიზანი გახლდათ შემესწავლა თუ რა ფაქტორები აფერხებს წაკითხულის გააზრების სწორ პროცესს და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.

კვლევის მთავარი კითხვა და ქვეკითხვები:

რატომ უჭირთ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება და როგორ შევუწყოთ ხელი ამ ყინულის დაძვრას? საკითხის შესასწავლად გავეცანი უცხოურ თუ ქართულ კვლევებს. ასევე გავეცანი სხვადასხვა ექპსერტისა თუ ფსიქოლოგის დასკვნებს. რა თქმა უნდა, ვესაუბრე მშობლებსა და გამოვკითხე მოსწავლეები. კვლევის პროცესში განვიხილე რამდენიმე სცენარი, მქონდა რამდენიმე ჰიპოთეზაც, რომელიც რამდენიმე ასპექტში გამართლდა კიდეც.

კვლევის მიზანი :

კვლევის მიზანია შევისწავლო დაწყებით კლასებში მოსწავლეებში არსებული წაკითხულის გააზრების პრობლემები, და დავადგინო რა მეთოდებითაა შესაძლებელი ამ პროცესის გაჯანსაღება.

თავი II

კვლევის არსი

კვლევის მიზანი იყო, იმ ტენდეციების გამოკვეთა, რომელიც აფერხებს წაკითხულის გააზრების პროცესს მოსწავლეებში . მსურდა გამომევლინა პრობლემატიკა და შესაბამისად მომეძიებინა რელევანტური გზები. აღნიშნული თემის აქტუალობა წლიდან წლამდე იზრდება, ახალი კვლევების გამოქვეყნებასთან ერთად. კვლევაში ჩაერთული იყო როგორც პედაგოგოები, ასევე მოსწავლეები და მათი მშობლები.

თავიIII

ლიტერატურის მიმოხილვა :

წაიკითხულის გააზრების პროცესი ფართო განხილვის საგანია . ამ თემის გარშემო მუდმივად პოლემიკა და დისკუსიაა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე შემესწავლა როგორც ქართული რეალობა , ასევე გავცნობოდი უცხოურ კვლევებსაც.მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სასწავლო სისტემაში გაწაფული და გააზრებული კითხვა სწავლების ერთ-ერთი შემადგენილი ნაწილია. ამ მხრივ არც საქართველოა

გამონაკლისი. არა ერთი კვლევა ჩატარებულა და ლიტერატურა შექმნილა იმის შესახებ თუ რა სარგებლობასთან/ სირთულესთან არის დაკავშირებული და როგორ უნდა მოვახერხოთ პრობლემის წარმატებულად გადაჭრა; რას გვასწავლის ეს კვლევა ისეთს, რაც შესაძლოა ჩვენს კოლეგებს და მოსწავლეებს სასიკთოდ წაადგეთ. კითხვის უნარ ჩვევების განვითარება ხომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია მოსწავლისთვის , განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლეებში. დაწყებით კლასებში გააზრებული კითხვის სწავლებას უდიდესი როლი ენიჭება მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის, გააზრებული კითხვა დაეხმარება მას სწავლების შემდგომ საფეხურზე გაუადვილდეს სხვადასხვა დისციპლინების აღქმა-გაგება-გააზრება.კითხვის უნარის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს უნარები განაპირობებენ პიროვნების აკადემიურ თუ პროფესიულ წარმატებას მთელი კარიერის მანძილზე.

3.1

როგორც ერთ-ერთ სტატიაში (<დაწყებითი, ემერჯენტული წიგნიერება>- „კითხვის ეფექტური მეთოდები“- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისეროვნული ცენტრი 2013) ვკითხულობთ მკვლევარების აზრით, გამართული, გაწაფული-კითხვის ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლეების ასაკზე. კითხვის პრობლემებს განსაკუთრებულად ყურადღება დაწყებითი საფეხურის ასაკში უნდა მიექცეს. ყველა მკვლევარი თანხმდება,რომ ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტი არის წიგნიერი გარემო. როდესაც უფროსები ბავშვებს უკითხავენ წიგნებს, ან როცა ბავშვები ხედავენ, რომ მშობლები თავად კითხულობენ, მათაც ბუნებრივი ინტერესი უჩნდებათ დაწერილის მიმართ. ასე, რომ წიგნიერების გამოყენებითი ასპექტის გაცნობიერება ეხმარება ბავშვს დადებითად განეწყოს კითხვისა და წერისადმი. როდესაც ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარებასა და კითხვის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ გაგება-გააზრების კომპონენტი. გაგება გააზრება არის წაკითხული ტექსტის, მოსმენილი ინფორმაციის, სიტყვების, წინადადებების და მათი კომბინაციების მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესი. ამ უმნიშვნელოვანესი სააზროვნო უნარის განვითარებაში რომ დავეხმაროთ, ხშირად უნდა ჩავრთოთ ბავშვი გაგებაზე ორიენტირებულ თამაშებსა თუ აქტივობებში. ერთი შეხედვით თამაშმა, რომელიც ხატვას, გაფერადებას, ფერებთან მუშაობას, თვლისა და ანგარიშის, საკუთარი დამოკიდებულებების შესახებ საუბრის ელემენტებს შეიცავს, შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ბავშვების წიგნიერ ადამიანად ჩამოყალიბებაში.სწორედ ამგვარი თამაშები და წიგნთან რაც შეიძლება ადრეულ ასაკში დამეგობრება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათ შემდგომ წარმატებებს ცხოვრებაში.

3.2

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიხედვით კი წაკითხულის გაგება-გააზრება, არსებითად, კითხვის ძირითადი დანიშნულებაა. გაგებას საკვანძო მნიშვნელობა აქვს აკადემიური წარმატებების მიღწევასა და პრაქტიკულად ყველა სახის საქმიანობაში. გაგება-გააზრება არის იმგვარი სააზროვნო ინტერაქცია ტექსტსა და მკითხველს შორის, რომლის შედეგია ტექსტში გადმოცემული შინაარსის კონსტრუირება მკითხველის ცნობიერებაში. როცა გაგება ეფექტურია, მკითხველს იმდენად ღრმად ესმის ავტორის მიერ გადმოცემული სათქმელი, რომ მას შეუძლია: წაკითხულის გონებაში წარმოდგენა, ვარაუდების ჩამოყალიბება, დასკვნების გამოტანა, ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის შეჯამება და შეფასება, შეკითხვების დასმა, შედარება, კავშირების გაბმა, წაკითხული იდეების სხვებისთვის გაზიარება და სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება. წაკითხულის გაგება-გააზრების უნარის განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკითხველის წინარე გამოცდილებას, ლექსიკურ მარაგს და მოსმენილის გაგება-გააზრების უნარს. ტექსტის სიღრმისეულ გააზრებაზე ორიენტირებული მკითხველისთვის დამახასიათებელია ე.წ. მეტაკოგნიცია (ფიქრი საკუთარი აზროვნების შესახებ), რაც გულისხმობს გაგების თვითმონიტორინგს. გაგების შეფერხებისას კარგი მკითხველები გააზრების ალტერნატიულ სტრატეგიებს მოიშველიებენ ხოლმე. რაც შეეხება ლექსიკურ მარაგსა და გაგება-გააზრებას, ისინი საკმაოდ ადრე ჩაისახება ზეპირი კომუნიკაციის გზით, შემდგომ კი, ტექსტებთან ურთიერთობის პროცესში, ღრმავდება და მთელი ცხოვრების მანძილზე ვითარდება. 13 კითხვის სწავლების საბაზისო მოდელი - ინტერაქტიული და კონსტრუქტივისტული მიდგომა კონსტრუქტივისტულ-ინტერაქტიული მოდელი აღწერს ურთიერთმიმართებებს კითხვის ოთხ ძირითად ასპექტს შორის, ესენია: მკითხველი, დავალება/მიზანი, ტექსტი, კონტექსტი/გარემო. კითხვის პროცესი ეფექტურად მიმდინარეობს, თუკი: • მკითხველს აქვს მზაობა, ინტერესი და გაცნობიერებული მიზანი მოცემული ტექსტის წასაკითხად; • ტექსტი შეესაბამება მკითხველისკითხვის დონეს, ინტერესსა და წაკითხვის მიზანს; • გარემო კომფორტულია მკითხველისათვის და შეიცავს მიზნის მიღწევისათვის საჭირო დამხმარე ელემენტებს. • კითხვის პროცესი მიმართულია კონკრეტული, გაცნობიერებული მიზნის მიღწევისაკენ; მკითხველი/ ტექსტი /დავალება/ მიზანი /გარემო/ კონტექსტი კითხვის პროცესი განვიხილოთ ეს მოდელი საკლასო ოთახის მაგალითზე: მკითხველი კითხვის სწავლის პროცესში უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური განვითარების უახლოესი ზონა (ლევვიგოტსკი).

3.3

„წაკითხულის გააზრება უმაღლეს საფეხურზე ანუ ტექსტის წაკითხვა, გააზრება და გაანალიზება, საქართველოში მოსწავლეთა მხოლოდ 2%–ს შეუძლია“ – აღნიშნული მონაცემები PIRLS-ის მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევაშია მოყვანილი. საქართველოში PIRLS-ის კვლევის ფარგლებში შერჩეული იყო 200 სკოლა და დაახლოებით 6 ათასამდე მოსწავლე მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები. კვლევის მიხედვით, წაკითხულის გააზრებას უმაღალეს საფეხურზე მოსწავლეთა მხოლოდ 2% ახერხებს. უმაღლესი საფეხური გულისხმობს, რომ მოსწავლე გაწაფულია კითხვაში. ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია როგორც ლიტერატურული, ისე საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება, გააზრება და ანალიზი, საუბარია ასაკთან შესაფერის ტექსტებზე. მაღალ საფეხურზეა მოსწავლეთა 22%, საშუალო საფეხურზე – 36%, დაბალ სააფეხურზე - 26%, კრიტიკული ზღვარი – 14%, ეს არის ბავშების მასა, რომლებიც მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას. „ეს, რა თქმა უნდა, საგანგაშო ციფრია, რადგან თუ ჩვენ მიღწევის დაბალ საფეხურზე მყოფ ბავშვებს შევხედავთ, რომლებიც მხოლოდ დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს ართმევენ თავს, რომელთა საერთო რაოდენობაც 20%-ზე მეტია და ამას დავუმატებთ კრიტიკულ ზღვართან მყოფთა რაოდენობას, პრინციპში, ჩვენ რისკის შემცველი ბავშვების ძალიან დიდი რაოდენობა გვყავს“, – აცხადებს გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი და კვლევითი დაეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე. „კვლევაში შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი წაკითხული გააზრებაა. ბავშვს შესაძლოა, კითხვისას მხოლოდ იმის გააზრება შეეძლოს, რაც ტექსტში ცხადად არის მოცემული ან შეეძლოს ბევრად მეტი, წაკითხულის საკუთარ გამოცდილებასთან შედარება, დასკვნის გამოტანა, გაანალიზება და ა.შ. ანუ არის შედარებით მარტივი და რთული პროცესი, რომელიც თავსდება საინფორმაციო და მხატრვულ ტექსტებში. (imedinews.ge)

მეთოდოლოგია

ამ თავში განხილულია საკვლევი საკითხის მთავარი კითხვა და კვლევის გეგმა. საკვლევი საკითხი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბე: , რა ფაქტორები აფერხებენ წაკითხულის გააზრებას და როგორ შევუწყოთ ხელი ამ პროცესს?“

კვლევის გეგმა

კვლევის მონაცემების შეგროვება:

საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე ფოკუსჯგუფი, ინტერვიუები, კითხვარები, დაკვირვება.

1. თავდაპირველად დავგეგმე კოლეგების გამოკითხვა და შევადგინე კითხვარი (დანართი1) .
2. კვლევის შემდეგი ობიექტები მშობლები იყვნენ.(დანართი 2). კითხვარის შევსებაში ყველა მშობელმა მიიღო მონაწილეობა. მიღებულმა შედეგებმა განწყობა და ტენდეცია მშობელთა ჩართულობასა და როლზე მოსწავლეთა მიერ წიგნის კითხვის პროცესში.მშობლებთან ინტერვიუმ ნათლად დამანახა რამდენად ჩართულები არიან ისინი მოსწავლეებისა და წიგნის ურთიერთობაში
3. რა თქმა უნდა, მოსწავლეების აზრი ერთ-ერთი გადამწყვეტი საფუძველია კვლევის. ამ კვლევამ მიანიშნა ინტერვენციების შინაარსზე . (დანართი3).
4. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე ჩავატარე ფოკუსი ჯგუფის გამოკითხვა.

კვლევის ვადები

აქტივობა	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის შერჩევა	✓			
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	✓			
ინტერვიუ პედაგოგებთან და მოსწავლეებთან		✓		

მეორადი მონაცემების შეგროვება		✓		
მეორადი მონაცემების ანალიზი		✓		
კითხვარების შედგენა, დამუშავება		✓		
გამოკითხვა/ანკეტირება		✓		
მიღებული შედეგების ანალიზი		✓	✓	
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			✓	
ინტერვენციის განხორციელება		✓	✓	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				✓

თავი V

მონაცემთა ანალიზი

5.1

კოლეგებთან საუბარმა და კვლევის ჩატარებამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობაში. კვლევისას მოსწავლეებში წაკითხულის გააზრების პრობლემაზე ყველა შეთანხმდა. ინტერვიუმ სკოლის

პედაგოგებთან და მოსწავლეებთან საშუალება მომცა განმესაზღვრა პედაგოგთა და მოსწავლეთა დამოკიდებულება კითხვის პრობლემების მიმართ.

პედაგოგების გამოკითხვის მიზანი იყო დამედგინა, მასწავლებლისთვის რა პრობლემებს აწყდება ამ კუთხით . კონკრეტულად მინდოდა გამერკვია რა მეთოდის და მიდგომის ან უნარის ნაკლებობის , დაქვეითების ბრალი შეიძლებოდა ყოფილიყო .გამოკითხვაში 5 პედაგოგი მონაწილეობდა. გამოვლინდა პრობლმები რომლებიც ხელს უშლიან წაკითხულის გააზრების პროცესს. ესენია: კითხვის ტექნიკის სისუსტე,მექანიკურ-მონოტონური კითხვა,ლექსიკური მარაგის სიმწირე. ჩემთვის მნიშვნელოვანია რომ შევიტყვე სასვენი ნიშნების უგელებელყოფის შესახებ. რომელზეც ზოგი პედაგოგი არ დაფიქრებულა და ეს ბუნებრივიცაა. ვინაიდან , ხშირად ეს საკითხი განიხილიება კითხვის ტექნიკის ასპექტში და არა გააზრების პროცესში. ასევე მათ ვკითხე აძლევდნენ თუ არა ინსტრუქციებს კითხვის პროცესში .

1)როგორ ფიქრობთ კითხვის ტექნიკის სისუსტე შესაძლებელია იყოს პრობლმების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

(კი 75% , არა 25%)



2) როგორ ფიქრობთ სასვენი ნიშნების უგელებელყოფა,რომელიც გადამწყვეტია აზრის ლოგიკისათვის , შესაძლებელია იყოს პრობლმების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

(კი 35% / არა 20% / არ მიფიქრია 55%)



3) როგორ ფიქრობთ მექანიკურ-მონოტონური კითხვა შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

(კი 60% / არა 40%)



4) როგორ ფიქრობთ ლექსიკური მარაგის სიმწირე შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

(კი 90% / არა 10%)



5) ყოველთვის აძლევთ თუ არა მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის დროს ტექსტთან არსებული დავალებების (რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებაში დაეხმარება) შესრულების ინსტრუქციას?

(კი 70% / არა 30%)



5.2

მშობლებს კითხვარები შევავსებინეთ სკოლაში. მიმაჩნია, რომ კითხვარმა ზოგადი წარმოდგენა შექმნა მშობლის დამოკიდებულების გასაგებად კითხვის და გააზრების პრობლემების საფუძველთან დაკავშირებით. აღმოჩნდა რომ იმ მოსწავლეებსაც ვისაც დღის რეჟიმი განსაზღვურული აქვთ , უფრო მობილიზებულნი არიან გაკვეთილზე . აღმოჩნდა რომ მოსწავლეების უმეტესობას არ აქვს დრო რეგულარულად იკითხონ დამატებითი ლიტერატურა, თუმცა ყველა მშობელი თანხმდება რომ ეს აუცილებელია. ძალიან გამიხარდა რომ მოსწავლეების უმეტესობა დამოუკიდებლად ახერხებს კითხვას, რაც მათი მომავალში მეტაკოგნიტური განვითარების საწინდარია. არაერთგვაორვანი აღმოჩნდა მშობლების შეფასება რა უჭრით მათ შვილებს , ზოგი გააზრებას მიიჩნევს , ზოგიც სწრაფ კითხვას.

1) აქვს თუ არა თქვენს შვილს დღის რეჟიმი ზუსტად განსაზღვრული ?

(კი 65% / არა 35%)



2) რჩება თუ არა მოსწავლეს დრო კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისთვის?

(დიახ 30 % / ხანდახან 40% / არა 30 %)



3. მოსწავლე კითხულობს :

(მშობლის დახმარებით 20 % ; დამოუკიდებლად 50 % ; საჭიროებს მცირეოდენ მითითებას 30%)



4. უნდა კითხულობდეს თუ არა თქვენი შვილი დამატებით კლასგარეშე ლიტერატურას?

(დიახ 100% / არა 0%)



5. რა პრობლემებს აწყდება თქვენი შვილი კითხვის დროს?

(გაგება -გააზრება 55% / სწრაფი კითხვა 45%)



5.3

ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ტენდენციები დამანახა მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებმა. როგორც აღმოჩნდა მათ არაერთგვაროვანი შეხედულება აქვთ ტექსტის მოცულობასთან დაკავშირებთ და შებამისად, ვფიქრობ ეს მიზეზი ნაკლებად შეიძლება იყოს პრობლემა წაკითხულის გააზრებისას. წაკითხულს როგორც ჩანს მოსწავლეებს უფრო ხშირად მეგობრებსა და მასწავლებელს უზიარებენ. აღმოჩნდა რომ ამ ასაკში მოსწავლეებს ზღპარები და მხატვრული ლიტერატურა უფრო ხიბლავთ წასაკითხად. ინფორმაციული ტექსტები ნაკლებად, შესაძლებელია ამის ბრალიც არის ტექნიკურ საგნებში წაკითხულის ნაკლები გააზრება. აღმოჩნდა რომ მოსწავლეებს მცირე უმრავლესობას უჭირს აზრის გამოტანა და ამას ხშირ შემთხვევაში ყურადღების გაფანტვას აბრალებენ. შემდეგ გამართულ კითხვას, რაც მოწმობს რომ კიტხვის ტექნიკური მხარე წაკითხულის გააზრების შემადგენილი ნაწილია.

1) როგორ ფიქრობთ, თქვენთვის მოცემული წასაკითხი ტექსტი:

(ზომიერია 35%/ დიდი მოცულობისაა 35% მცირე მოცულობისაა 30%)



2) ვის უზიარებ წაკითხული ნაწარმოების შესახებ?

(ოჯახის წევრს 20% / მასწავლებელს 39% / მეგობარს 41%)



3) რა ჟანრის ნაწარმოები მოგწონს?

(ზღაპრები 60% / მხატრული ლიტერატურა 30% / საინფორმაციო ტექსტი 10%)



4) გიჭირს თუ არა ტექსტიდან აზრის გამოტანა ?

(კი 55 % / არა 45%)



5) როგორ ფიქრობ რატომ შეიძლება გაგიჭრდეს წაკითხულიდან აზრის გამოტანა?

(ყურადღების გაფანტვა 60 % / ვერ ვიგებ 10% / ვერ ვკითხულობ გამართულად 30%)



5.4

ფოკუსჯგუფთან შეხვედრამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილს უჭირს წაკითხულის გააზრება გამოიკვეთა რომ იმ ბავშვების ნაწილი ნაკლებად განიცდიან პრობლემას რომლებიც კითხვის კარგ ტექნიკას ფლობენ და ასევე დღის გამართული რეჟიმი აქვთ . ასევე აღმოჩნდა რომ მოსწავლეებს ნაკლები დრო რჩებას დამატებითი საკითხავისთვის , თუმცა ყველა თანხდება რომ აუცილებელია .

თავი VI

ინტერვენციები :

1.ინტერვენცია.

მასწავლებლების, მშობლების და მოსწავლეების თანამშრომლობით მოხდეს დღის წესრიგის განსაზღვრა თითოეული ბავშვისთვის. რაც მათ ორგანიზებულობას მიაჩვევს . ასევე ხელს შეუწყობს მობილიზებული ხასიათისა და ფსიქიკის ჩამოყალიბებას. რაც აუცილებლად აისახება კითხვის უნარებზე. ამ ინტერენციაში ძირითადად მოვიაზრებ კითხვის დროს გონების გაფანტვის საკითხს. მოსწავლეები ვერ ფოკუსიდებიან და დიდ დროს ხარჯავენ ფუჭად. როდესაც მათ გაწერილი ექნებათ თავიანთი დღე, დროის მენეჯმენტს ისწავლიან

2.ინტერვენცია

მასწავლებლებსა და მშობლებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;დაწყებითი საფეხურის ყველა კლასში ჩატარდა მშობლებთან შეხვედრები, სადაც პედაგოგებმა დეტალურად ესაუბრეს მშობლებს კითხვის მნიშვნელობაზე, კითხვის პრობლემებზე და პრობლემების გამოსწორების გზებზე. მათ მიეცათ რეკომენდაციები, თუ როგორ ჩაერთონ შვილებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტის- კითხვის პროცესში.

ამ პროცესში მნიშვნელია მშობელმა წაახალიოს ბავშვის წიგნისადმი დამოკიდებულება. ამასთანავე მარტივი კითხვებით გაიგოს თუ ამდენად სწორად აღიქვა ბავშვმა წაკითხული

3.ინტერვენცია

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის მკითხველთა კლუბის დაარსება, სადაც მოსწავლეები შეძლებენ წაკითხული ნაწარმოების ერთთმანეთისთვის გაზიარებას და რჩევების მიცემას; ამ ინტერვეციამ შეძლო მოსწავლეები დაეინტერესებინა წიგნით და გაეღვივებინა წიგნისადმი ინტერესი. ვფიქრობ მომვალშიც ინტენსიურად გაიზრდება კლუბში მოსწავლეების რაოდეონობა. გაიზრდება წიგნის პოპულარიზაციაც.

4.ინტერვენცია

უნდა გავამდიდროთ საგაკვეთილო პროცესი იმ მეთოდებითა და აქტივობებით, რომლებიც ორიენტირებულია კითხვის უნარების განვითარებაზე. დაწყებით საფეხურზე ასეთ მეთოდებსა და აქტივობებს თუ თამაშის სახეს მივცემთ, უფრო გავზრდით მოსწავლეთა მოტივაციას, ჩართულობას და სასურველ მიზანსაც უფრო ადვილად მივაღწევთ, რადგან თამაში ბავშვის მიერ რეალობის შემოქმეთებითად ასახვის ფორმაა, რომელშიც, ამავდროულად,მისი ინსტიქტური და ბიოლოგიური მოთხოვნილებებია ჩადებული.

5.ინტერვენცია

კლასის საათზე და „მკითხველთა კლუბი“-ში გამოყენებული იქნს აქტივობა: „ცხელი სკამი„

აქტივობის აღწერა

ნაწარმოების ან მოთხრობის წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვენ, მოირგონ ტექსტის ერთ-ერთი პერსონაჟის როლი. შერჩეული მოსწავლე გამოდის კლასის წინ, ჯდება სკამზე, ”მოირგებს” პერსონაჟის როლს და პასუხობს თანაკლასელების მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც ამ პერსონაჟისთვისაა გამიზნული. კარგი იქნება, თუკი დასაწყისისთვის ისეთ მოსწავლეს ამოვარჩევთ, რომელიც ამ დავალებას, კარგად გაართმევს თავს. ნიმუშის საჩვენებლად შეიძლება შერჩეული პერსონაჟის როლი თავდაპირველად თვითონ მასწავლებელმა განასახიეროს. ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წააქეზოს ბავშვები, დასვან ეფექტური შეკითხვები და მაგალითის საჩვენებლად, თვითონაც დაუსვას შეკითხვები ”ცხელ სკამზე” მჯდომ მოსწავლეს.

6. ინტერვენცია

სიტყვის და ცნების რუკა;

„სიტყვის რუკა“ და „ცნების რუკა“ ეფექტური სტრატეგიებია კითხვის სწავლების პირველ ეტაპზე. ეს სტრატეგიები ხელს უწყობენ ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წაკითხულის გაგება-გააზრებას და წერის უნარის განვითარებას. „სიტყვის რუკის“ სქემა შედგება 4 ნაწილისგან: თვითონ სიტყვის დასახელება, ამ სიტყვის განმარტება მოსწავლის მიერ, ამ სიტყვის განმარტება ლექსიკონიდან და ნახატი.

სქემა „ცნების რუკა“ ეხმარება მოსწავლეს გაიაზროს ინფორმაცია და დააჯგუფოს ცნების მახასიათებლები. ცენტრალურ ოვალში იწერება ცნება,რომლის გარშემო მოსწავლეები აგებენ „ცნების რუკას“. მეორე ოვალის გასწვრივ იწერება ის მიზეზები, რომლის ნაწილი შეიძლება მოცემული იყოს ტექსტში, ნაწილი კი მოსწავლეებმა დაასახელონ და გაუზიარინ ერთმანეთს, ჯერ წყვილებში, შემდეგ მთელ კლასში. მესამე ოვალის - სიმპტომების გასწვრივ იწერება ცნების მახასიათებლები, მოსწავლეები მუშაობენ ჯერ წყვილებში და შემდეგ მსურველები თავის მოსაზრებას უზიარებენ მთელ კლასს. მეოთხე ოვალში კი მოსწავლეების მსჯელობის შედეგად იწერება პრობლების გადაჭრის გზები. მოცემული მეთოდები გამოიყენება როგორც ნარიტული, ასევე ინფორმაციული და ინსტრუქციული ტექსტების გაგებისა და გაანალიზებისთვის.

7. ინტერევენცია

მნიშნველოვანი ნაბიჯი იქნება საინფორმაციო ტექსტების გამხატვრულება ხშირად. რაც მოსწავლებს შესაძლებლობას მისცემს შემოქმედებითად და საინტერესოდ დაინახონ ინფორმაცია. მაგალითად მათემატიკური ამოცანების ამოხსნის დროს შემოვიყვანე ზღაპრული პერსონაჟი კობლე , რომელმაც დაამზადა 89 კომბალი და გაყიდა 40 . მოსწავლეებს უნდა ამოეცნოთ რამდენი კომბალი ჰქონდა დარჩენილი კომბლეს. აღნიშნულმა კიდევ უფრო გაახალისა ჩვენი სასწავლი პროცესიდა ხელი შეუწყო მოსწავლეების აზროვნების განვითარებისა და ინფორმაციის ანალიტიკას.

8. ინტერვენცია

კითხვის ტექნიკის,მექანიკურ-მონოტონური კითხვის, ლექსიკური მარაგის სიმწირის, სასვენი ნიშნების უგელებელყოფაზე ყურადღების გამახვილება მასწავლებლების მხირდან. რაც ხელს შეუწყობს სწავლების მეთოდიკის დახვეწასა და წაკითხულის უკეთ გააზრებას. ამ ინტრვენციამ ტექნიკურად ძალზე დახვეწა მოსწავლეების კითხვის ტექნიკა.

თავი VII

ინტერვენციების ანალიზი

ინტერვენციები რომლებიც მე განვახორციელე სარეკომენდაციოა. ამ თემატიკაზე არ წყდება კამათი და განხილვა. კვლევაში თავდაპირველად მოვიძიე პრობლემატიკა და შემდეგ. შევეცადე გადაჭრების გზები მეპოვნა. წარმოდგენილმა ინტერვენციება სავსებიით გაამართლა მოლოდინები. მოსწავლეები უფრო თავჯერებულნი გახდნენ, უფრო თამამად აფისქრებენ საკუთარ პოზიციებს. განსაკუთრებული შედეგი გამოიღო მკითხველთა კლუბის დაარსებამ. რამაც ერთის მხრივ მისცა ბიძგი დამატებითი ლიტერატურის კიტხვას, ხოლო მეორეს მხრივ განავითარა მოსწავლეების ანალიტკური უნარებ.

ნაკლოვანებები

კვლების ერთ-ერთი ნაკლოვანება მშობლების ინტეგრირება იყო ამ პროცესში. ყველა მოსწავლის მშობელი ვერ ჩაერთო ჩვენს მიერ დაგეგმილ აქტივობებში.ისინი არ იყვნენ მზად ბავშვებთან ერთად თამაშებითა და სახალისო მიდგომებით მიეყვანათ ბავშვი წიგნამდე.ამ კვლევას ხელახლა რომ ვანხორციელებდე, მეტად შევამზადებდი მშობლებს შეთავაზებული აქტივობებისთვის.

მიგნებები

კვლევამ აჩვენა რომ ტექსტის წარუმატებლად გააზრების მიზეზია: დროის ლიმიტის ნაკლებობა და ყურადღების გაფანტვა ; წაკითხულის მიმართ წარმოსახვის ინტერესის ნაკლებლობა და ამის გამო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის ნაკლებობა ;და ის რომ არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას

დასკვნა

წაკითხულის გააზრების პრობლემას აღიარებენ მასწავლებლებიც, მოსწავლეებიც და მშობლებიც.როგორც აღმოჩნდა კითხვის დროს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გონების გაფანტვაა, სათავე კი რეჟიმის არ ქონა. წიგნის კლუბმა კი ერთობ წაახალისა სასაკოლო ცხოვრება.გამოჩნდა რომ ამ კომპლექსური პრობლემის მიმართ ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) გზამკვლევი მასწავლებლებისათვის http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-0l--10-ka-50---20-help---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.5&d=HASH01fd4aa0a83a773cd2cdfe70.5.1.2&gt=1
2) კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე http://kargiskola.ge/teachers/resource_books/kitxva/resursi_kitxva.pdf
3) https://imedinews.ge/ge/saqartvelo/60296/kvleva-mostsavleta-14s-tsakitkhulis-gaazreba-minimalur-donezets-ar-sheudzlia
4) http://mastsavlebeli.ge/?p=1876
5) http://batumelebi.netgazeti.ge/news/80358

დანართი 1

1)როგორ ფიქრობთ კითხვის ტექნიკის სისუსტე შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

- კი
- არა

2) როგორ ფიქრობთ სასვენი ნიშნების უგელებელყოფა,რომელიც გადამწყვეტია აზრის ლოგიკისათვის , შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

- კი
- არა
- არ მიფიქრია

3) როგორ ფიქრობთ მექანიკურ-მონოტონური კითხვა შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი?

- კი
- არა

4) როგორ ფიქრობთ ლექსიკური მარაგის სიმწირე შესაძლებელია იყოს პრობლემების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ?

- **კი**

- **არა**

5)ყოველთვის აძლევთ თუ არა მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის დროს ტექსტთან არსებული დავალებების (რომელიც ტექსტის გაგება-გააზრებაში დაეხმარება) შესრულების ინსტრუქციას?

- **კი**
- **არა**

დანართი 2

1. აქვს თუ არა თქვენს შვილს დღის რეჟიმი ზუსტად განსაზღვრული ?
   - კი
   - არა

2. რჩება თუ არა მოსწავლეს დრო კლასგარეშე ლიტერატურის კითხვისთვის?

   - დიახ
   - ხანდახან
   - არა

3. მოსწავლე კითხულობს :

   - მშობლის დახმარებით
   - დამოუკიდებლად
   - საჭიროებს მცირეოდენ მითითებას

4. უნდა კითხულობდეს თუ არა თქვენი შვილი დამატებით კლასგარეშე ლიტერატურას?

- დიახ
- არა

5. რა პრობლემებს აწყდება თქვენი შვილი კითხვის დროს?
    - გაგება -გააზრება
    - სწრაფი კითხვა

დანართი 3

1) როგორ ფიქრობთ, თქვენთვის მოცემული წასაკითხი ტექსტი:
    - ზომიერია
    - დიდი მოცულობისაა
    - მცირე მოცულობისაა

2) ვის უზიარებ წაკითხული ნაწარმოების შესახებ?
    - ოჯახის წევრს
    - მასწავლებელს
    - მეგობარს

3) რა ჟანრის ნაწარმოები მოგწონს?
    - ზღაპრები
    - მხატრული ლიტერატურა
    - საინფორმაციო ტექსტი

4)გიჭირს თუ არა ტექსტიდან აზრის გამოტანა ?

- კი
- არა

4) როგორ ფიქრობ რატომ შეიძლება გაგიჭრდეს წაკითხულიდან აზრის გამოტანა?
    - ყურადღების გაფანტვა
    - ვერ ვიგებ
    - ვერ ვკითხულობ გამართულად

კვლევის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევის თემაა ფაქტორები,რომლებიც აფერხებენ წაკითხულის გააზრებას და როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში ანატლიტიკური უნარების განვითარებას. კვლევისას გამოიკვეთა ის ძირითადი საკითხები, რომელიც აფერხებს ამ პროცესს და განხილულია ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც შეუწყობს ხელს წაკითხულის გააზრების პროცესს. მოსწავლეებში წაკითხულის აღქმის პრობლემატიკა ჩემთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. კვლევის მიზანი იყო, დაწყებით კლასებში მოსწავლეებში არსებული კითხვის პრობლემების შესწავლა და პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების დადგენა.მიღებული შედეგი დადებითია და ვთვლი, რომ შეიძლება მისი კოლეგებთან გაზიარება. მოსწავლეებისათვის საინტერესო იყო განსხვავებულ აქტივობებში მონაწილეობა, ისტ-ის გამოყენებით გამდიდრებული გაკვეთილები, სხვადასხვა ჟანრის წიგნების კითხვა, მსჯელობა, სქემებისა და კითხვარების შევსება. ნაშრომში განხილულია დაწყებითი კლასების მოსწავლეებში არსებული კითხვის პრობლემები და ამ

პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ცვლილებები. კვლევის დროს გამოვიყენე შემდეგი მეთდები: საკვლევ საკითხზე პასუხის გასაცემად, გამოვიყენე კვლევის როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი მეთოდები ; კვლევის მიგნებებია : მოსწავლეები გაუაზრებლად კითხულობენ ლექსიკური მარაგის სიმწირის გამო;

წარუმატებლად შესრულებული დავალების მიზეზია: დროის ლიმიტის ნაკლებობა და ყურადღების გაფანტვა ; წაკითხულის მიმართ წარმოსახვის ინტერესის ნაკლებლობა და ამის გამო საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის ნაკლებობა ;არ კითხულობენ კლასგარეშე ლიტერატურას. დავგეგმე ინტერვენციები. პირველ ყოვლისა დავადგინე, მოსწავლეებს რა აფერთხებთ გააზრებისას . როგორ შეგვიძლია პედაგოგს, მოსწავლესა და მშობელს გაუმჯობესება ამ პროცესის ,გამარტივება. ამ ინტერვენციების განხორციელების შემდეგ ვაკვირდებოდი მოსწავლეებს. ისინი უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ. აქტიურად დაიწყო და გრძელდება კომუნიკაცია მშობლებთან . კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გამოკვეთა შემაფერხებელი ფაქტორები . ასევე დაგვანახა პრობლემის გამომწვევი მიზეზის გამოკვეთის აუცილებლობა. აღნიშნული საკითხი ფართო კვლევის საგანს წარმოადგენს . კვლევის შედეგების გაზიარება, საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისთვის. დაინტერესდნენ შედეგებით და გაუჩნდათ სურვილი საკუთარი პრაქტკული კვლევა განახორციელონ. თემის არჩევა მათი პრაქტიკის საჭიროებიდან მოხდება.